

K 2624
7



ი. სტალინი

კურის ფრონტზე



—
—
—

අංශ ප්‍රධාන නොමැත්ත ප්‍රසාද අංශ ප්‍රධාන නොමැත්ත, ප්‍රධාන නොමැත්ත

ଶ୍ରୀ କ. କ. କ. (ଦ) ଓ. ପ-ତାର ଏଲ୍‌ସେସ୍‌ଟଲ୍‌ଗ ମାନ୍‌ଯୁ-ମନ୍‌ଦୀ-ମନ୍‌ଦୀ
ମନ୍‌ଦୀ-ମନ୍‌ଦୀ ମନ୍‌ଦୀ-ମନ୍‌ଦୀ



୦୩୦୯୦୬୦ 1936

335.5:633.1(42)
2-794 0. ს ი ა ლ ი ნ ი 33 K 53
2-794

პ უ რ ი ს ფ რ თ ნ ტ ხ ე



ჭითალი პროცესურის ინსტიტუტის,
კომუნისტური აკადემიისა და სვერდლივის
უნივერსიტეტის სტუდენტებთან საუბრიდან
1928 წ. 28 გაისა

2624

სსრ. კ. პ. (ბ) გ. პ. პაროგავლევლობა





კითხება. რა უნდა ჩაითვალოს ძირითად სიძნეებიდან პურის, საქმის ჩვენს სიძნელეებში? რა უი მდგომარეობს გამოსავალი ამ სიძნელეებიდან? როგორი უნდა იყოს დასკვნები ამ სიძნელეებთან დაკავშირებით საერთოდ ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ტემპის მიზართ, განსაკუთრებით მსუბუქი და მძიმე ინდუსტრიის თანაშეფარდების თვალსაზრისით?

პასუხი. ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს, რომ ჩვენი სიძნელენი პურის დარგში შემთხვევითია, მხოლოდ ცუდი დაგეგმვის შედეგი, სამეურნეო დაბალანსების მხოლოდ მთელი რიგი შეცდომების შედეგი. მაგრამ ეს შეიძლება გვეჩვენოს მხოლოდ ერთი შეხედვით. ნამდვილად კი სიძნელეთა მიზეზები აქ გაცილებით უფრო ღრმაა. უხეირო დაგეგმვამ და სამეურნეო დაბალანსების შეცდომება რომ აქ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, — ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. მაგრამ ყველაფრის ახსნა უხეირო დაგეგმვით და შემთხვევითი შეცდომებით, — მეტად უხეშ შეცდომას ნიშნავს. შეცდომა იქნებოდა დაგეგმვის როლისა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, — ეს ყოველ ეჭვს გარეშეა.



შვნელობის ნაკლებად შეფასება. მაგრამ უფრო მეტი შეცდომა იქნებოდა გეგმიანი საწყისის როლის გაზვიადება და ფიქრი იმისა, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ განვითარების იმ დონეს, როცა საშუალება გვაქვს ყველაფერი და ყოველივე ვგეგმოთ და ვაწესრიგოთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ ელემენტების გარდა, რომლებიც ემორჩილებიან ჩვენს გეგმიან ზემოქმედებას, ჩვენი მეურნეობის შემადგენლობაში არიან კიდევ სხვა ელემენტებიც, რომლებიც ჯერ ჯერობით არ ემორჩილებიან დაგეგმვას, ბოლოს, არიან ჩვენდამი მტრულად განწყობილი კლასები, რომელთა დაძლევა არ შეიძლება სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოებული უბრალო დაგეგმვის წესით. აი, რატომ ვფიქრობ, რომ არ შეიძლება ყველაფერი მივაწეროთ უბრალო შემთხვევას, დაგეგმვის შეცდომებს და სხვ. მაში, რაში მდგომარეობს პურის ფრონტზე ჩვენი სიძნელეების საფუძველი?

პურის ფრონტზე ჩვენი სიძნელეების საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ სასაქონლო პურის წარმოების ზრდა ჩვენში უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე პურის მოთხოვნილების ზრდა. იზრდება მრეწველობა. იზრდება მუშათა რაოდენობა. იზრდება ქალაქები. იზრდება, ბოლოს, ტექნიკური ნედლეულის (ბამბა, სელი, ჭარხალი და სხვ.) მწარმოებელი რაომნები, რომლებიც სასაქონლო პურის მოითხოვენ. ყოველივე ეს იწვევს პურის, სასაქონლო პურის მოთხოვნილების სწრაფ ზრდას. ხოლო სასაქონლო პურის წარმოება მეტის მეტად ნელი ტემპით. იზრდება. არ შეიძლება ითქვას, რომ დამზადებული პური, რომელიც სახელმწიფოს განკარგულებაშია, წელს უფრო ცოტა გვქონდეს, ვიდრე შარშან ან შარშანწინ. პირიქით, წელს ჩვენს სახელმწიფოს ბევრად უფ-

რო მეტი პური პექმნდა, ვიდრე წინა წლებში. მაგრამ ჩვენს წინაშე მაინც სიძნელეებია პურის მხრივ: აი ზოგიერთი ციფრი. 1925—26 წელს 1 აპრილისათვის ჩვენ შევძელით 434 მილიონი ფუთი პურის დამზადება. აქედან საზღვარგარეთ გავიტანეთ 123 მილიონი ფუთი. მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაში დარჩა 311 მილიონი ფუთი დამზადებული პური. 1926—27 წელს 1 აპრილისათვის დამზადებული გვქონდა 596 მილიონი ფუთი. აქედან საზღვარგარეთ გავიტანეთ 153 მილიონი ფუთი. დამზადებული პური ჩვენს ქვეყანაში დარჩა 443 მილიონი ფუთი. 1927—28 წელს 1 აპრილისათვის დამზადებული გვქონდა 576 მილიონი ფუთი. აქედან საზღვარგარეთ გავიტანეთ 27 მილიონი ფუთი. დამზადებული პური ჩვენს ქვეყანაში დარჩა 549 მილიონი ფუთი. სხვანაირად რომ ვთქვათ, წელს 1 აპრილისათვის ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დამზადებული პური გვქონდა 100 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე შარშან, და 230 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე შარშანწინ. მიუხედავად ამისა, ჩვენ წელს მაინც სიძნელეები გვაქვს პურის ფრონტზე.

მე უკვე ვთქვი ჩემს ერთერთ მოხსენებაში, რომ ეს სიძნელეები სოფლის კაპიტალისტურმა ელემენტებმა და, უწინარეს ყოვლისა, კულაკებმა გამოიყენეს იმისათვის, რომ ჩამოატა საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკა. თქვენ იცით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო მთელი რიგი ზომები, რომელთა მიზანია კულაკობის ანტისაბჭოთა გამოსვლის ლიკვიდაცია. ამიტომ აქ ბევრს აღარ ვიღაპარაკებ ამაზე. მე ამ შემოხვევაში მეორე საკითხი მაინტერესებს. მხედველობაში მაქვს სასაქონლო პურის წარმოების ნელი ტემპით ზრდის მიზეზების საკითხი, საკითხი იმის შესახებ, რომ სასაქონლო პურის წარმოება ჩვენში

უფრო ნელი ტემპით იზრდება, ვიდრე მოთხოვნილება
ჰურჩე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ
ნათესი ფართობისა და ჰურის საერთო პროდუქციის ომის+
წინადროინდელ ნორმებს.

მართლაც, განა ეს ფაქტი არ არის, რომ ჩვენ
უკვე მივაღწიეთ ნათესი ფართობის ომისწინადროინ-
დელ ნორმებს? დიალ, ფაქტია. განა ეს ფაქტი არ
არის, რომ ჰურის საერთო პროდუქცია უკვე შარშან
უდრიდა წარმოების ომისწინადროინდელ ნორმას, ე. ი.
აღწევდა ამილიარდ ფუთამდე? დიალ, ფაქტია. მაშ რით
უნდა აიხსნას, რომ, მიუხედავად ამ გარემოებისა, სასაქონ-
ლო ჰური მოგვყავს ორჯერ ნაკლები და საზღვარგარეთ
გაგვაქვს ოცჯერ ნაკლები, ვიდრე ომამდე? ეს, უწინარეს
ყოვლისა და უმთავრესად, აიხსნება იმით, რომ ოქტომბრის
რევოლუციის შედეგად შეიცვალა ჩვენი სოფლის მეურნეო-
ბის აგებულობა, მსხვილი მემამულური და მსხვილი კუ-
ლაკური მეურნეობიდან, რომელიც იძლეოდა სასაქონ-
ლო ჰურის ყველაზე მეტ რაოდენობას, გადავედით
წვრილ და საშუალო გლეხურ მეურნეობაზე, რომელიც
სასაქონლო ჰურის ყველაზე უფრო ნაკლებ რაოდენობას
იძლევა. უკვე მარტო ის გარემოება, რომ ომამდე ჩვენში
იყო 15—16 მილიონი ინდივიდუალური გლეხური
მეურნეობა, ახლა კი არის 24—25 მილიონი გლეხური
მეურნეობა, უკვე მარტო ეს მოწმობს, რომ ჩვენი სოფ-
ლის მეურნეობის ძირითად ბაზას წარმოადგენს წვრილი
გლეხური მეურნეობა, რომელიც იძლევა სასაქონლო
ჰურის მინიმუმს. მსხვილი მეურნეობის ძალა მიწათმოქმე-
დებაში, იქნება ეს მემამულური, კულაკური თუ კოლექ-
ტიური მეურნეობა,— მდგომარეობს იმაში, რომ მას, ამ
მსხვილ მეურნეობას, შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს

განქანები, გამოიყენოს მეცნიერების მიღწევები, გამოიყენოს სასუქი, ასწიოს შრომის ნაყოფიერება და, ამგვარად, მოგვცეს სასაქონლო პურის ყველაზე შეტი რაოდენობა. და, პირიქით, წვრილი გლეხური, მეურნეობის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოკლებულია, ან თითქმის მოკლებულია ამ შესაძლებლობას, რის გამო იგი წარმოადგენს ნახევრადმომხმარებელ, მცირესაქონლიან მეურნეობას. ავილოთ, მაგალითად, კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი. ისინი გვაძლევენ სასაქონლო პურს მთელი თავისი საერთო წარმოების 47,2 პროცენტის რაოდენობით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისინი უფრო მეტ სასაქონლო პურს გვაძლევენ, ვიდრე მემამულური მეურნეობა ომამდე. წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობანი? ისინი გვაძლევენ სასაქონლო პურს მთელი თავისი პროდუქციის მხოლოდ 11,2 პროცენტის რაოდენობით. განსხვავება, როგორც ხედავთ, საკმაოდ აშკარაა.

აი რამდენიმე ციფრი, რომელიც ააშკარავებს პურის წარმოების აგებულობის სურათს წარსულში, ომისწინადროინდელ პერიოდში და ახლა ოქტომბრის შემდგომს პერიოდში. ეს ციფრები მოგვაწოდა ცენტრალური სტატისტიკური სამართველოს კოლეგიის წევრმა ამხ. ნემინოვმა. მათ, ამ ციფრებს, არა აქვთ სიზუსტის პრეტეზია, როგორც აღნიშნავს თავის ბარათში ამხ. ნემინოვი,—ისინი გვაძლევენ მხოლოდ დაახლოვებითი გამოანგარიშების შესაძლებლობას. მაგრამ ეს ციფრები სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ გავიგოთ განსხვავება ომისწინადროინდელ პერიოდსა და ოქტომბრის შემდგომ პერიოდს შორის საერთოდ პურის წარმოების აგებულობისა და განსაკუთრებით სასაქონლო პურის წარმოების თვალსაზრისით.

პურის საერთო პროდუქცია			სასაქონლო პური		საქონლიანო-	
ომამდე	მილიონ ფუთ. %		(არასასოფლო)	მილიონ ფუთ. %	ბის %	ბის %
1. მემამულენი . . .	600	12,0	281,6	21,6	47	
2. კულაკები . . .	1,900	38,0	650,0	50,0	34	
3. საშუალო და ღა-						
რიბი გლეხები . . .	2.500	50,0	369,0	28,4	14,7	
ს უ ლ . . .	5.000	100	1.300,6	100	26	
1926/27 წელს:						
1. საბჭ. მეურნ. და კოლექტ.						
მეურნ.	80,0	1,7	37,8	6,0	47,2	
2. კულაკები . . .	617,0	13,0	126,0	20,0	20,0	
3. საშუალო და ღა-						
რიბი გლეხები . . .	4.052,0	85,3	466,2	74,0	11,2	
ს უ ლ . . .	4.749,0	100	630,0	100	13,3	

რას გვეუბნება ეს ცხრილი?

ჯერ ერთი, იმას, რომ პურის პროდუქტების უდიდესი მასის წარმოება მემამულეებისა და კულაკებისაგან გადავიდა წვრილი და საშუალო გლეხების ხელში. ეს იმას ნიშნავს, რომ წვრილსა და საშუალო გლეხებს, რომელთაც სავსებით დააღწიეს თავი მემამულეთა ჩაგვრას და ძირითადად შეარყიეს კულაკობის ძალა, შესაძლებლობა მიეცათ ფრიად სერიოზულად გაეუმჯობესებინათ თავისი მატერიალური მდგომარეობა. ეს ოქტომბრის რევოლუციის შედეგია. ამაში გამოიხატება, უწინარეს ყოვლისა, გადამწყვეტი მოგება, რომელიც მიიღეს გლეხთა ძირითადმა მასებმა ოქტომბრის რევოლუციისაგან.

მეორე, იგი გვეუბნება იმას, რომ ჩვენში სასაქონლო პური უმთავრესად აქვთ წვრილ და, უწინარეს ყოვლისა, საშუალო გლეხებს. ეს იმას ნიშნავს, რომ არამც თუ პურის საერთო პროდუქციის თვალსაზრისით, არამედ სასაქონლო პურის წარმოების თვალსაზრისითაც საბჭოთა კავშირი, ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, გახდა წვრი-

ლი გლეხური მეურნეობის ქვეყნად, ხოლო საშუალო
გლეხი—მიწათმოქმედების „ცენტრალურ ფიგურად“.

მესამე, იგი გვეუბნება იშას, რომ მემამულური (მსხვი-
ლი) მეურნეობის ლიკვიდაციას, კულაკური (მსხვილი)
მეურნეობის სამჯერ მეტად შემცირებას და წვრილ გლე-
ხურ მეურნეობაზე გადასვლას, რომელიც იძლევა საქონ-
ლიანობის მხოლოდ 11 პროცენტს, ისეთ პირობებში,
როცა არ არსებობს რაოდენადმე განვითარებული მსხვილი
საზოგადოებრივი მეურნეობა პურის წარმოების დარგში
(კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი),—უნდა გამო-
ეწვია და მართლაც გამოიწვია სასაქონლო პურის წარ-
მოების ძალზე შემცირება ომის წინა დროსთან შედარე-
ბით. ეს ფაქტია, რომ ჩვენ ახლა ორჯერ ნაკლები სასა-
ქონლო პური გვაქვს, მიუხედავად პურის საერთო პროდუქ-
ციის ომისწინადროინდელი ნორმისა.

აი სად არის საფუძველი ჩვენი სიძნელეებისა პურის
ფრონტზე.

აი რატომ არ შეიძლება უბრალო შემთხვევად ჩაი-
თვალოს ჩვენი სიძნელენი პურის ღამზადების დარგში.

უკეცელია, აქ ერთგვარი უარყოფითი როლი ითამა-
შა აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ჩვენმა სავაჭრო ორგანიზა-
ციებმა იკისრეს ზედმეტი მოვალეობა მოვალეობით რიგი წვრილი
და საშუალო ქალაქების პურით მომარაგებისა, რასაც
არ შეეძლო რამდენადმე არ შეემცირებინა სახელმწიფოს
პურის მარაგი. მაგრამ არავითარი საბუთი არ არსებობს
ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ პურის ფრონტზე ჩვენი სი-
ძნელეების საფუძველს წარმოადგენს არა ეს გარემოება,
არამედ ჩვენი სოფლის მეურნეობის საქონლიანობის ნელი
განვითარების ფაქტი იმ დროს, როცა სწრაფად იზრდება
მოთხოვნილება სასაქონლო პურზე.

სად არის გამოსავალი მდგომარეობიდან? არიან ადამიანები, რომლებიც მდგომარეობიდან გამოსივალს ხედავენ კულაკური მეურნეობისაკენ დაბრუნებაში, კულაკური მეურნეობის განვითარებასა და გაშლაში. ეს ადამიანები ვერა ხედავენ ლაპარაკს მემამულური მეურნეობისაკენ ღაბრუნებაზე, ვინაიდან, როგორც სჩანს, ეს-მით, რომ სახიფათოა ასეთ რამეებზე ლაყბობა ჩვენს ჯროში. მაგრამ ისინი მით უფრო მეტი ხალისით ლაპარაკობენ იმაზე, რომ აუცილებელია კულაკური მეურნეობის ყოველნაირად განვითარება... საბჭოთა ძალაუფლების სასარგებლობა. ეს ადამიანები ფიქრობენ, რომ საბჭოთა ძალაუფლებას შეუძლიან დაემყაროს ერთსადა-იმავე ფროს თუ მოპირდაპირე კლასს,— კულაკების კლასს, რომელთა სამეურნეო პრინციპია მუშათა კლასის ექსპლოატაცია, და მუშათა კლასს, რომელთა სამეურნეო პრინციპია ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობა. ეს რეაქციონერების საკადრი ფოკუსია. მტკიცებაც კი არა ღირს იმისა, რომ ამ რეაქციულ „გეგმებს“ არაფერი აქვს საერთო მუშათა კლასის ინტერესებთან, მარქსიზმის პრინციპებთან, ლენინიზმის ამოცანებთან. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ კულაკი ქალაქის კაპიტალისტზე „უარესი არაა“, რომ კულაკი ქალაქის ნეპმანზე უფრო მეტ საფრთხეს არ წარმოადგენს და რომ ამიტომ ჩვენ ამჟამად არ უნდა „გვეშინოდეს“ კულაკობისამ, — ასეთი ლაპარაკი უბრალო ლიბერალური ლაყბობაა, რომელიც აღუნებს მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასების სიფაზებს. არ უნდა დავვიწყოთ, რომ თუ ინდუსტრიაში ჩვენ შევიძლიან წვრილ კაპიტალისტს ქალაქად დავუპირდაპიროთ მსხვილი სოციალისტური მრეწველობა, რომელიც სამრეწველო საქონლის მთელი მასის $\frac{9}{10}$ -ს იძლე-

ვა,— მსხვილ კულაკურ წარმოების სოფლად წარმოების
ხაზით ჩვენ შეგვიძლიან დავუპირდაპიროთ მხოლოდ ჯერ
კიდევ მოუმაგრებელი კოლმეურნეობანი და საბჭოთა
მეურნეობანი, რომლებსაც კულაკურ მეურნეობებთან
შედარებით რვაჯერ ნაკლები პური მოჰყავთ. სოფლად
მსხვილი კულაკური მეურნეობის მნიშვნელობის გაუგებ-
ლობა, იმის გაუგებლობა, რომ კულაკის ხვედრითი
წონა სოფლად ასჯერ მეტია, ვიდრე კაპიტალისტების
ხვედრითი წონა ქალაქის მრეწველობაში,—ეს ნიშ-
ნავს კულაზე შემლას, ლენინიზმთან კავშირის გაწყვეტას,
მუშათა კლასის მტრების ბანაკში გადარბენას.

მაშ, სად არის გამოსავალი მდგომარეობიდან?

1) გამოსავალი, უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობის
იმაში, რომ წვრილი, ჩამორჩენილი და დაქუცმაცებული
გლეხური მეურნეობებიდან გადავიდეთ გაერთიანებულ,
მსხვილ, საზოგადოებრივ მეურნეობებზე, რომლებიც მო-
მარაგებული იქნებიან მანქანებით, აღკურვილი იქნებიან
მეცნიერების მიღწევებით და რომლებიც შესძლებენ მოი-
ყვანონ სასაქონლო პურის უდიდესი რაოდენობა.
გამოსავალს წარმოადგენს გადასვლა ინდივიდუალური
გლეხური მეურნეობიდან კოლმეტიურ, საზოგადოებრივ
მეურნეობაზე მიწათმოქმედებაში.

ლენინი ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის პირვე-
ლი დღეებიდან მოუწოდებდა პარტიას კოლმეურნეობათა
მოწყობისაკენ. მას შემდეგ ჩვენს პარტიაში არ შეწყვეტი-
ლა კოლმეურნეობათა იდეის პროპაგანდა. მაგრამ, მოწო-
დებამ კოლმეურნეობისაკენ მხოლოდ უკანასკნელ დროს
კვლევა მასობრივი გამოძახილი. ეს, უწინარეს ყოვლისა,
აიხსნება იმით, რომ კოოპერატიული საზოგადოებრიობის
ფუართო განვითარებამ სოფლად მოამზადა გარდატეხა გლე-

ზობის განუყობილებაში კოლმეურნეობათა სასარგებლოდ
ზოლო მთელი რიგი კოლმეურნეობების არსებობამ, რომ-
ლებიც უკვე ახლა იძლევიან $150 - 200$ ფუთ მოსავალს
დესეტინიდან და თავისი მოხავლის $30 - 40$ პროც. სასა-
ქონლო პროდუქციას,— შექმნა ღარიბი გლეხობისა და
საშუალო გლეხობის ქვედა ფენების სერიოზული ლტოლ-
ვა კოლმეურნეობებისაკენ. მცირე მნიშვნელობა არა აქვს
აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მხოლოდ ამ უკანასკნელ
დროს მიეცა სახელმწიფოს შესაძლებლობა სერიოზულად
დაფინანსოს საკოლმეურნეო მოძრაობა. ცნობილია, რომ
წელს სახელმწიფომ კოლმეტიური მეურნეობების დასახ-
მარებლიდა, შარშანდელთან შედარებით, ორჯერ მეტი
თანხა გაიღო (60 მილიონ მანეთზე მეტი). პარტიის XV
ყრილობა საესებით მართალი იყო, როცა იღიარა, რომ
პირობები მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობისათვის
უკვე მომწიფდა, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის გაძლიე-
რება წარმოადგენს ერთერთ უაღრესად სერიოზულ საშუა-
ლებას პურის წარმოების საქონლიანობის გასაღიდებლად
ჩვენს ქვეყანაში.

პურის საერთო პროდუქცია კოლმეურნეობებში 1927
წელს, ცენტრალურ სტატისტიკური სამმართველოს ცნო-
ბების თანახმად, უდრიდა არა ნაკლებ 55 მილიონ ფუთს
 30% საერთო საშუალო საქონლიანობით. ახალი კოლ-
მეურნეობების შექმნის ფართო ტალღამ და ძველი კოლ-
მეურნეობების გაფართოებამ მიმდინარე წლის დამდეგს
საგრძნობლად უნდა გააღიზოს პურის წარმოება კოლ-
მეურნეობებში წლის დამლევისათვის. ამოცანა მდგომა-
რეობს იმაში, რომ შევინარჩუნოთ საკოლმეურნეო მოძ-
რაობის განვითარების ახლანდელი ტემპი, გავამსხვილოთ
კოლმეურნეობანი, მოვსპოოთ ცრუ კოლმეურნეობანი, შევ-

ცეკვით ისინი ნამდვილი კოლმეურნეობებით და დავამყაროთ ისეთი რეჟიმი, რომ კოლმეურნეობანი მთელ თავის სასაქონლო პურს, აბარებდნენ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, თუ არა მათ სახელმწიფო მოუსახლეობს სუბსიდიებს და კრედიტებს. მე ვფიქრობ, ამ პირობების დაცვით ჩვენ შევძლებდით იმის მიღწევას, რომ 3—4 წლის შემდეგ კოლმეურნეობებმა მოგვცენ 40—50 მცლიონი ფუთი სასაქონლო პური.

ზოგჯერ საკოლმეურნეო მოძრაობას უპირისპირებენ კოოპერატიულ მოძრაობას; ცხადია, ფიქრობენ, რომ კოლმეურნეობანი—ერთია, ხოლო კოოპერაცია—მეორე. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ზოგიერთები იქამდეც კი მიდიან, რომ კოლმეურნეობებს უპირისპირებენ ლენინის კოოპერატიულ გეგმას. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ასეთ დაპირისპირებას არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტებასთან. ნამდვილად კი კოლმეურნეობანი წარმოადგენენ კოოპერაციის სახეს, საწარმოო კოოპერაციის ყველაზე უფრო მკაფიო სახეს. არის კოოპერაცია გამსაღებელი, არის მომმარაგებელი, არის საწარმოოც. კოლმეურნეობანი წარმოადგენენ საერთოდ კოოპერატიული მოძრაობისა და, კერძოდ, ლენინის კოოპერატიული გეგმის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს. ლენინის კოოპერატიული გეგმის გატარება იმას ნიშნავს, რომ გამსაღებელი და მომმარაგებელი კოოპერაციიდან გლეხობა აგვავდეს საწარმოო კოოპერაციაზე, ასე ვთქვათ, საკოლმეურნეო კოოპერაციაზე. სხვათა შორის, ამით აიხსნება ის—ფაქტი, რომ კოლმეურნეობებმა ჩვენში წარმოშობა და განვითარება იწყეს მხოლოდ გამსაღებელი და მომმარაგებელი კოოპერაციის განვითარებისა და გაძლიერების შედეგად.

1-2629

2) მეორე,—გამოსავალი მდგომარეობს იმაში, რომ გავა-
ფართოვოთ და განვამტკიცოთ ძველი საბჭოთა მეურნეობანი,
მოვაწყოთ და განვავითაროთ ახალი მსხვილი საბჭოთა მე-
ურნეობანი. პურის საერთო პროდუქცია ახლანდელ საბ-
ჭოთა მეურნეობებში 1927 წელს, ცენტრალური სტატის-
ტიკური სამმართველოს ცნობებით, უდრიდა არა ნაკლებ
45 მილიონ ფუთს 65 პროც. საქონლიანობით. უკევ-
ლია, სახელმწიფოს გარკვეული დახმარებით საბჭოთა
მეურნეობები შესძლებენ პურის წარმოების მნიშვნე-
ლოვნად გადიდებას. მაგრამ ამოცანა ამით როდი გა-
ნისაზღვრება. არსებობს საბჭოთა ხელისუფლების გადაწ-
ყვეტილება, რომლის თანახმად იმ რაიონებში, სადაც გლე-
ხებს არა აქვთ მიწის ნაკვეთები, ეწყობა ახალი მსხვილი
საბჭოთა მეურნეობანი (თვითეული 10.000 დესეტინიდან
30.000 დესეტინამდე), რომლებმაც ხუთი-ექვსი წლის
შემდეგ უნდა მოვცენ 100 მილიონი ფუთი სასაქონლო
პური. ამ საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაცია უკვე დაიწ-
ყო. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებლად
გავატაროთ ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების ეს
გადაწყვეტილება. მე ვფიქრობ, თუ ამ ამოცანებს განვა-
ხორციელებო, ჩვენ შევძლებთ მივაღწიოთ იმას, რომ 3—4
წლის შემდეგ ძველი და ახალი საბჭოთა მეურნეობებიდან
მივიღებთ 80—100 მილიონ ფუთ სასაქონლო პურს.

3) ბოლოს, გამოსავალი მდგომარეობს იმაში, რომ
სისტემატურად გავადადოთ წვრილ და საშუალო ინდივი-
დუალურ გლეხურ მეურნეობათა მოსავლიანობა. ჩვენ არ
შეგვიძლიან და არ უნდა გავუწიოთ დახმარება ინდივი-
დუალურ მსხვილ კულაკურ მეურნეობას. მაგრამ ჩვენ შე-
გვიძლიან და კიდევ უნდა გავუწიოთ დახმარება ინდივი-
დუალურ წვრილ და საშუალო გლეხურ მეურნეობას, გა-



ვადიდოთ მისი შოსავლიანობა და მოვაჭურიოთ იგი კო-
ოპერატიული ორგანიზებულობის კალაპოტში. ეს ძველი
ამოცანაა, რომელიც განსაკუთრებული სიძლიერით წამო-
ყენებულ იქნა ჩვენში ჯერ კიდევ 1921 წელს სასურსა-
თო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის დროს.
ეს ამოცანა დაღასტურებულია ჩვენი პარტიის მიერ XIV
და XV ყრილობებზე. ამ ამოცანის მნიშვნელობას ხაზს
უსვამს ახლა სიძნელეები პურის ფრონტზე. ამიტომ იგი,
ეს ამოცანა, ისეთივე დაბეჯითებით უნდა განხორციელ-
დეს, როგორითაც განხორციელდება პირველი ორი ამო-
ცანა, ამოცანა კოლმეურნეობების შესახებ და ამოცანა
საბჭოთა მეურნეობების შესახებ.

ყველა ცნობა მოწმობს, რომ გლეხური მეურნეობის
შოსავლიანობა რამდენიმე წლის განმავლობაში შეიძლება
გადიდეს 15 — 20 პროცენტით. ჩვენში ამჟამად ხმა-
რებაშია არა ნაკლებ 5 მილიონი სახნისი. მარტო მათი
შეცვლა გუთნებით სერიოზულად გაზრდიდა პურის წარმოე-
ბას ჩვენს ქვეყანაში. მე უკვე აღარაფერს ვამბობ გლეხურ
მეურნეობათა მომარაგებაზე სასუქის ერთგვარი მინიჭუ-
მით, გაწმენდილი თესლით, წვრილი ტიპის მანქანებით და
სხვ.. მეთოდი კონტრაქტაციისა, მეთოდი ხელშეკრულე-
ბათა დადებისა მთელ სოფლებთან მათ მოსამარაგებლად
თესლითა და სხვ., მათგან სათანადო რაოდენობის პურის
პროდუქტების აუცილებლად მიღების პირობით, — ეს
მეთოდი წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას გლეხურ
მეურნეობათა მოსავლიანობის გასაღიდებლად და გლეხების
ჩასაბმელად კოოპერაციაში. მე ვფიქრობ, თუ სერიო-
ზულად ვიმუშავებთ ამ მიმართულებით, 3—4 წლის გან-
მავლობაში ჩვენ შევძლებთ მივიღოთ წვრილ და საშუა-
ლო ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათაგან ახალი სა-
საქონლო პური არა ნაკლებ 100 მილიონი ფუთისა.

ამრიგად, თუ შევასრულებთ ყველა ამ ამოცანას, 3—4 წლის შემდეგ ჩვენ შეიძლება გვქონდეს სახელმწიფოს განკარგულებაში ახალი 200—250 მილიონი ფუთი სასაქონლო პური, რაც ცოტად თუ ბევრად საქმაო იქნება იმისათვის, რომ სათანადო მანევრები ვაწარმოოთ როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

ასეთია, ძირითადად, ის ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ თავი დავალწიოთ სიძნელებს პურის ფრონტზე.

ამ ძირითად ღონისძიებათა შეერთება იმ მიმღინარე ღონისძიებებთან, რომელთა დანიშნულებას შეადგენს დაგეგმვის გაუმჯობესება სოფლის მომარაგების დარღვი საქონლით და ამასთანავე ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების განთავისუფლება მთელი რიგი წვრილი და საშუალო ქალაქების პურით მომარაგების მოვალეობისაგან — ასეთია ამჟამად ამოცანა.

საჭირო ხომ არ არის ამ ღონისძიებებთან ერთად კიდევ მთელ რიგ სხვა ღონისძიებათა მიღება, ვთქვათ, ღონისძიებათა მიღება ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ტემპის შესანელებლად, ინდუსტრიისა, რომლის ზრდა პურის მოთხოვნილების გაძლიერებულ ზრდას, რაც ჯერჯერობით წინ უსწრებს სასაქონლო პურის წარმოების ზრდას? არა, არ არის საჭირო. არავითარ შემთხვევაში! ინდუსტრიის განვითარების ტემპის შენელება ნიშნავს მუშათა კლასის დასუსტებას, ვინაიდან თვითეული ნაბიჯის წინ გადადგმა ინდუსტრიის განვითარების საქმეში, თვითეული ახალი ფაბრიკა, თვითეული ახალი ქარხანა წარმოადგენს, ლენინის თქმით, მუშათა კლასის „ახალ ციხესიმაგრეს“, რომელიც აძლიერებს მის პოზიციებს წვრილბურჟუაზიულ სტიქიასთან ბრძოლაში, ჩვენი შეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლაში. პირიქით, ჩვენ

უნდა შევინარჩუნოთ ინდუსტრიის განვითარების ახლან-
დელი ტემპი, ჩვენ პირველ შესაძლებლობისთანავე უფრო
უნდა განვავითაროთ იგი იმისათვის, რომ სოფელს საქო-
ნელი მივაყაროთ და მეტი პური გამოვიტანოთ იქიდან,
იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა და, უწინარეს ყო-
ვლისა, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები
მოვამარაგოთ მანქანებით, იმისათვის, რომ მოვახდინოთ
სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია და გავაღი-
დოთ მისი პროდუქციის საქონლიინობა.

იქნება საჭირო იყოს მეტი „სიფრთხილისათვის“ მძიმე
მრეწველობის განვითარების შენელება იმ მიზნით, რომ
მსუბუქი მრეწველობა, რომელიც, უმთავრესად, გლეხური
ბაზრისათვის მუშაობს, გავხადოთ ჩვენი ინდუსტრიის ბა-
ზად? არავითარ შემთხვევაში! ეს იქნებოდა ოვითმკვლელო-
ბა, ძირის გამოხსრა მთელი ჩვენი მრეწველობისათვის, აგ-
რეთვე მსუბუქი მრეწველობისთვისაც. ეს იქნებოდა ჩვენი
ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგზე ხელის აღება,
ჩვენი ქვეყნის გადაქცევა მეურნეობის კაპიტალისტური
სისტემის დამატებად. ჩვენ აქვამოვდივართ ლენინის ცნო-
ბილი სახელმძღვანელო დებულებებიდან, რომლებიც მოგვ-
ცა მან კომინტერნის IV კონგრესზე და რომლებიც უსა-
თუოდ სავალდებულოა მთელი ჩვენი პარტიისათვის. აი რას
ამბობდა ლენინი ამის შესახებ კომინტერნის IV კონ-
გრესზე:

„რუსეთის სსნას წარმოადგენს არა მარტო კარგი მოსავალი გლე-
ხურ მეურნეობაში,—ეს კიდევ ცოტაა,—და არა მარტო კარგი მდგო-
მარეობა მსუბუქი მრეწველობისა, რომელიც მოხმარების საგნებს
აწვდის გლეხობას,—ესეც ცოტაა,—ჩვენთვის აუცილებელია აგრე-
თვე მძიმე ინდუსტრია.“

ან კიდევ:

„ჩვენ მომჭირნეობას ვეშვით ყველაფერზე, სკოლებზედაც კი. ეს,
ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით, თუ მძიმე ინდუსტრიას არ ვიზნოთ

თუ მას არ აღვადგენთ, ჩვენ ვერ შევძლებთ ვერავთარი მრე-
წელობის შექმნას, უამისოდ კი ჩვენ საერთოდ დავიღუპებით, რო-
გორც დამოუკიდებელი ქვეყანა“ (ტომი XXVII, გვერდი 349).

ლენინის ამ მითითებათა დავიწყება არ შეიძლება.

როგორ იქნება მუშათა და გლეხთა კავშირის საქმე
დასახულ ღონისძიებებთან დაკავშირებით? მე ვფიქრობ,
რომ ამ ღონისძიებებს შეუძლიანთ მხოლოდ გაადვილონ
მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების საქმე. მართ-
ლაც, თუ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი
განვითარდებიან აჩქარებული ტემპით; თუ წვრილი და სა-
შუალო გლეხებისათვის პირდაპირი დახმარების გაწევის
შედეგად მათი მეურნეობათა მოსავლიანობა გაიზრდება,
ხოლო კოოპერაცია მოიცავს გლეხთა სულ უფრო და
უფრო ფართო მასებს; თუ სახელმწიფო მიიღებს რამდე-
ნიმე ახალ ასეულ მილიონ ფუთ სასაქონლო პურს, რაც
საჭიროა მანევრირებისათვის; თუ ამ და მსგავს ღონისძიე-
ბათა შედეგად კულაკობა აილაგმება და იგი თანდათან
იქნება დაძლეული, — მაშინ განა ცხადი არ არის, რომ
წინააღმდეგობანი მუშათა კლასსა და გლეხობსა შორის
მუშათა და გლეხთა კავშირის შიგნით ამ დროს სულ
უფრო და უფრო ჟესუსტდება, საგანგებო ზომები პურის
დამზადების საქმეში საჭირო აღარ იქნება, გლეხთა ფართო
მასები სულ უფრო და უფრო მობრუნდებიან მეურნეობის
კოლექტიური ფორმებისაკენ, ხოლო ბრძოლა სოფლად
კაპიტალისტური ელემენტების დაძლევისათვის სულ უფრო
და უფრო მასობრივ და ორგანიზებულ ხასიათს მიიღებს.
განა ცხადი არ არის, რომ მუშათა და გლეხთა კავშირის
საქმე მხოლოდ მოიგებს ასეთ ღონისძიებათა გატარებით?

მხოლოდ საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ მუ-
შათა და გლეხთა კავშირი პროლეტარიატის დიქტატურის პი-
რობებში უბრალო კავშირი არ არის. ეს არის მუშათა კლასისა

და გლეხობის მშრომელი მასების კლასობრივი კავშირის
განსაკუთრებული ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს:
ა) მუშათა კლასის პოზიციების გაძლიერებას, ბ) მუშათა კლა-
სის ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფას ამ კავშირის
შიგნით, გ) კლასებისა და კლასობრივი საზოგადოების მოს-
პობას. მუშათა და გლეხთა კავშირის ყოველივე სხვაგვარი
გაგება ოპორტუნიზმია, მენტევიზმი, ესერობა, ყველა-
ფერი, რაც გნებავთ, მაგრამ მარქსიზმი კი არა, ლენინიზმი
კი არა.

როგორ შევათავსოთ მუშათა და გლეხთა კავშირის
იდეა ლენინის ცნობილ დებულებასთან იმის შესახებ, რომ
გლეხობა არის „უკანასკნელი კაპიტალისტური კლასი“? აქ
წინააღმდეგობა ხომ არ არის? წინააღმდეგობა აქ მხოლოდ
მოჩვენებითია. ნამდვილად აქ არავითარი წინააღმდეგობა არ
არის. იმავე მოხსენებაში კომინტერნის III კონგრესზე, სა-
დაც ლენინი გლეხობას ახასიათებს როგორც „უკანასკნელ
კაპიტალისტურ კლასს“, ამავე მოხსენებაში ლენინი კიდევ
და კიდევ ასაბუთებს მუშათა და გლეხთა კავშირის აუცი-
ლებლობას, აუზადებს რა, რომ „დიქტატურის უმაღლესი
პრინციპი არის გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის
დაცვა, რათა პროლეტარიატმა შესძლოს ხელმძღვანელი
როლისა და სახელმწიფო ძალაუფლების შენარჩუნება“. ცხადია,
რომ ლენინი, ყოველ შემთხვევაში, აქ არ ხდავს
არავითარ წინააღმდეგობას.

როგორ უნდა გვესმოდეს ლენინის დებულება იმის
შესახებ, რომ გლეხობა არის „უკანასკნელი კაპიტალისტური
კლასი“? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გლეხობა კაპიტა-
ლისტებისაგან შესდგება? არა, არ ნიშნავს. ჯერ ერთი,
ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხობა არის განსაკუთრებული
კლასი, რომელიც აგებს მეურნეობას საწარმოო იარაღე-
ბისა და საშუალებათა კერძო საკუთრების საფუძველზე, და,

ამის გამო, განსხვავდება პროლეტართა კლასისაგან, რომ-
ლებიც მეურნეობას აგებენ საწარმოო იარაღებისა და
საშუალებათა კოლექტიური საკუთრების საფუძველზე.
მეორე, ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხობა არის ისეთი
კლასი, რომელიც თავის წრიდან გამოჰყოფს, წარმო-
შობს და ასაზრდოებს კაპიტალისტებს, კულაკებს და საერ-
თოდ სხვადასხვაგვარ ექსპლოატატორებს.

ეს გარემოება დაუძლეველი დაბრკოლება ხომ არ არის
მუშათა და გლეხთა კავშირის ორგანიზაციის საქმისათვის?
არა, არ არის. პროლეტარიატის კავშირი გლეხობასთან
პროლეტარიატის ღიქტატურის პირობებში არ არის კავ-
შირი მთელ გლეხობასთან. პროლეტარიატის კავშირი გლე-
ხობასთან არის მუშათა კლასის კავშირი გლეხობის მშრო-
მელ მასებთან. ასეთი კავშირი არ შეიძლება განხორციე-
ლდეს გლეხობის კაპიტალისტურ ელემენტებთან უპრ-
ძოლველად, კულაკობასთან უბრძოლველად.

ასეთი კავშირი არ შეიძლება მტკიცე იყოს, თუ არ
იქნა ორგანიზებული ღარიბი გლეხობა, როგორც მუშათა
კლასის დასაყრდნობი სოფლად. ამიტომ მუშათა და გლეხ-
თა კავშირი პროლეტარიატის ღიქტატურის ახლანდელ
პირობებში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ლენინის
ცნობილი ლოზუნგით: დაეყრდნე ღარიბ გლეხობას, მო-
აწყე მტკიცე კავშირი საშუალო გლეხთან, ერთი წუთი-
თაც ნუ შესწყვეტ ბრძოლას კულაკობასთან. ვინაიდან
მხოლოდ ამ ლოზუნგის გატარებით შეიძლება განხორ-
ციელდეს საქმე გლეხობის ძირითადი მასების ჩაბმისა სო-
ციალისტური მშენებლობის კალაპოტში.

ამგვარად, თქვენ ხედავთ, რომ წინააღმდეგობა ლენი-
ნის ორ ფორმულას შორის არის მხოლოდ მოჩვენებითი
წინააღმდეგობა. ნამდვილად კი მათ შორის არავითარი წი-
ნააღმდეგობა არ არის.




୩/ଥ୍. ର୍ଯ୍ୟାଜ୍‌ମୁଖୀ
ଓଠୁର୍. ର୍ଯ୍ୟାଜ୍‌ମୁଖୀ ୩. ଏବନାତାଜ୍ଞବିଲ୍ଲି

ଶ୍ରୀ. ର୍ଯ୍ୟାଜ୍‌ମୁଖୀ
ଗାନ୍ଧିମହାଦେବୀ { ଡ. ରାମ୍‌ଚନ୍ଦ୍ର

କର୍ଣ୍ଣର୍ଯ୍ୟାଜ୍‌ମୁଖୀ—ସଙ୍ଗ. ପ୍ରାଣିଶିଳ୍ପ
ଗାନ୍ଧିମହାଦେବୀ ୮/VIII—୧୯୩୬
ଶ୍ରୀମନ୍ତି. ରାମାଧେଶ୍ୱର ୧୦/X—୧୯୩୬

ପାରିଶ୍ରାମକ୍ଷେତ୍ରକାଳୀ № 54
ମତାବ୍ୟାଲୋରୀସ ର୍ଫ୍ର. № ୮-୮୬୪୬
ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣା ନଂ ୧୩୬୯
ଟିକ୍ରାଙ୍ଗ 10.000
ପାଲାଙ୍ଗ. ଶରମା ୬୨X୨୫
ପିଗନୀସ ଶରମା ୫୧/୨X୨୫

ଶ୍ରୀ. କ. କ. (ବ) ପ୍ର. କ. ପାରିଶ୍ରାମକ୍ଷେତ୍ରକାଳୀସ II ବ୍ୟାମଦା. ଅଲ୍ଲେବକନ୍ଵୀସ ପାରିଶ୍ରାମକ୍ଷେତ୍ରକାଳୀସ II ୭୬.





ვაკი უდიოთ 1 გვე.

И. СТАЛИН

НА ХЛЕБНОМ ФРОНТЕ

Партиздан ЦК КП (б) Грузии
Тбилиси 1936